



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4923052001

თარიღი:21/02/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
თეიმურაზ ჭეიშვილის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **თეიმურაზ ჭეიშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მივლინებულ იქნეს ქალაქ თბილისში, სასტუმრო „Pullman Tbilisi Axis Towers“-ში, მიმდინარე წლის 23 თებერვალს, ევროპის საბჭოს კონგრესისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის თანამშრომლობით, ანტი-დისკრიმინაციის საკითხებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.
2. საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს
- საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კობა გურეშიძეს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზ ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

